ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 577 44 40 60
577 47-43-34

N 27
11/03/2016

27-08-4-201603111642

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი " 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის , 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის №46 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1.მიმდინარე წლის 18 მარტს, დღის 12 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1 „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სამების საჯრო სკოლისათვის მაკარ ბურჭულაძის სახელის მინიჭების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის გაცემის თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

1.2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 თებერვლის N 12 დადგენილების არარად აღიარების თაობაზე" დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

1.3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

1.4. „ა.(ა).ი.პ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის თანამედროვე ხელოვნების გალერეასათვის“ (ს/კ -441994825) დაბა ჩოხატაურში გურიის ქ. N1-ში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე არსებული 162.00 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.01.21.078.01.501) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: მალხაზ ჩხიკვაძე

1.5. “ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კოხნარის ადმინისტრაციული ერთეულში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5 ერთეული შენობა - ნაგებობების დემონტაჟის/ლიკვიდაციის განხორციელების შედეგად დარჩენილი ან დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილებისა და მასალების (მარაგების) განკარგვის თაობაზე” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: მალხაზ ჩხიკვაძე

1.6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მალხაზ ჩხიკვაძე

1.7.2016 წლის სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილების შესახებ.

მომხსენებელი:გია გიორგაძე

1.8. ,,ჩოხატაური მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ” – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

1.9. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

1.10. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2015 წელში განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: გელა ლომინეშვილი

1.11. ”ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N53 დადგენილებაში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელი:გელა ლომინეიშვილი

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა